პროფესიული განათლებისა და მომზადების ეროვნული

პროფესიული საბჭოს სხდომის

ო ქ მ ი

15 მარტი, 2013

(საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საკონფერენციო დარბაზი, 12 სთ.)

სხდომის დღის წესრიგი:

1. **სხდომის გახსნა და დღის წესრიგზე შეთანხმება** - ქეთევან ნატრიაშვილი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე;
2. **პროფესიული განათლების რეფორმის შუალედური სტრატეგიის (2009-2012) შედეგები და სამომავლო გამოწვევები** - თამარ სამხარაძე, პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი;
3. **მოხსენება: ევროკავშირის „პროფესიული განათლებისა და მომზადების სექტორის მხარდაჭერის პროგრამის" განხორციელებისა და მონიტორინგის საბოლოო მისიის შესახებ** - ნინო ყოჩიშვილი, ევროკავშირის „პროფესიული განათლებისა და მომზადების სექტორის მხარდაჭერის პროგრამის" მენეჯერი;
   დისკუსია
4. **პროფესიული განათლების რეფორმის გრძელვადიანი სტრატეგიისა (2013-2020) და სამოქმედო გეგმის პროექტის განხილვა** - ანი ქიტიაშვილი, ევროკავშირის „პროფესიული განათლებისა და მომზადების სექტორის მხარდაჭერის პროგრამის" ტექნიკური დახმარების პროექტის ექსპერტი;
   დისკუსია
5. **მოხსენება ევროკავშირის „პროფესიული განათლებისა და მომზადების სექტორის მხარდაჭერის პროგრამის" ტექნიკური დახმარების პროექტის მიმდინარეობის შესახებ** - ეკა ჟვანია, ევროკავშირის „პროფესიული განათლებისა და მომზადების სექტორის მხარდაჭერის პროგრამის" ტექნიკური დახმარების პროექტის ექსპერტი;
   დისკუსია
6. **პროფესიული განათლების მინიტორინგის სისტემის არსი და მიზნები** - ელენე ცხაკაია, უფროსი ექსპერტი პროფესიული განათლების საკითხებში; გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების პროგრამა "კერძო სექტორის განვითარება საქართველოში";
   დისკუსია
7. **მოხსენება: ინკლუზიური განათლების დანერგვა პროფესიულ განათლებაში** - მარიკა ზაქარეიშვილი, „ინკლუზიური განათლების დანერგვა პროფესიული განათლებისა და მომზადების სისტემაში" პროექტის დირექტორი;
8. **მოხსენება: ახალი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების დაფუძნების საჭიროების, მიზანშეწონილობისა და განხორციელების საკითხების შემსწავლელი კომისიის მუშაობის შესახებ** - ქეთევან ნატრიაშვილი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე;
   დისკუსია

9. **საბჭოს თემატური ჯგუფების შემდგომი ფუნქციონირების საკითხის განხილვა** - ანა მჭედლიშვილი; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსი სპეციალისტი;
   დისკუსია
10. **სხდომის შეჯამება და დახურვა** - სხდომის თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:

1. **ქეთევან ნატრიაშვილი** - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე;
2. **ილია კვიტაიშვილი** - საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე;
3. **ნინო ბერიანიძე** - ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ეკონომიკური ანალიზისა და პოლიტიკის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი;
4. **თეა გულუა** - საქართველოს ზრდასრულთა განათლების ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი;
5. **მარინა ჟვანია** - სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საგანმანათლებლო პროგრამებისა და განათლების აღიარების სამსახურის უფროსი;
6. **დავით ლომიძე** - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე;
7. **ელგუჯა მელაძე** - საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის პრეზიდენტი;
8. **ნათელა პაპუნაშვილი** - სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯ „აისის" დირექტორი;
9. **ირაკლი პეტრიაშვილი** - საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების თავმჯდომარე;
10. **ელგუჯა მამასახლისი** - შპს „ელსელმას" გენერალური დირექტორი;
11. **გივი კახიშვილი** - შემდუღებელთა და მასალათმცოდნეთა კავშირის აღმასრულებელი დირექტორი;
12. **ჟაკო ჯორჯაძე** - საქართველოს ბარმენთა ასოციაციის პრეზიდენტი;
13. **შორენა ჯაფარიძე** - დამოუკიდებელი ექსპერტი;
14. **ალექსანდრე ქანთარია** - საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე;
15. **დანიელ დავითაშვილი** - საქართველოს პროფესიული განათლებისა და კვალიფიციური მომზადების მუშაკთა და სტუდენტთა პროფესიული კავშირის თავმჯდომარე;
16. **ქეთევან ჯაყელი** - მუნიციპალური მომსახურების უზრუნველყოფის ეროვნული ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი;
17. **კახა ბაინდურაშვილი** - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდენტი;
18. **თეა კვინტრაძე** - სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე;
19. **ნინო კოპალეიშვილი** - სსიპ ხარისხის განვიტარების ეროვნული ცენტრის საერთასორისო ურთიერთობების სამმართველოს უფროსი, საბჭოს სამდივნოს წევრი;
20. **ელენე ჯიბლაძე** - სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი;
21. **ანი ქიტიაშვილი** - ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროექტის ექსპერტი;
22. **ნინო ყოჩიშვილი** - ევროკავშირის წარმომადგენლობის პროექტების მენეჯერი;
23. **მაკა კურდღელია** - განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი;
24. **ანა მჭედლიშვილი** - განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების სამმართველოს უფროსი სპეციალისტი;
25. **გვანცა ტაბატაძე** - განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების სამმართველოს უფროსი სპეციალისტი;

26. **დიმიტრი მოლაშვილი** - განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების სამმართველოს უფროსი სპეციალისტი;
27. **ელენე ცხაკაია** - GIZ;
28. **დავით გვენეტაძე** - GIZ;
29. **ლელა მაისურაძე** - ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროექტის ექსპერტი;
30. **ნინო ტოგონიძე** - GIZ;
31. **ვანესა ფოელკელი** - GIZ
32. **ბრანკო ვენერდი** - GIZ
33. **თამარ ვეფხვაძე** - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
34. **მარიკა ზაქარეიშვილი** - „ინკლუზიური განათლების დანერგვა პროფესიული განათლებისა და მომზადების სისტემაში" პროექტის დირექტორი;
35. **მაია ბაგრატიონ-გრუზინსკი** - პროექტი „ინკლუზიური განათლების დანერგვა პროფესიული განათლებისა და მომზადების სისტემაში";
36. **ლაშა ბლიაძე** - საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება;
37. **სალომე ჩაკვეტაძე** - ფინანსთა სამინისტრო;
38. **რატი ბრეგაძე** - საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტრო;
39. **მაია ცქიტიშვილი** - საქართველოს მთავრობის კანცელარია;
40. **მიხეილ კორძახია** - საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია;
41. **კახაბერ გვანცელაძე** - საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო;
42. **პიტერ ტასკერი** - ევროკავშირის საბიუჯეტო დამხარების პროგრამის მონიტორინგის ექსპერტი;
43. **სტეფან სტორკი** - ევროკავშირის წარმომადგენლობა;
44. **ნილს კრისტენსენი** - ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროექტის ხელმძღვანელი.

სხდომა გახსნა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ, ქეთევან ნატრიაშვილმა საბჭოს წევრებსა და მოწვეულ სტუმრებს მადლობა გადაუხადა მობრძანებისთვის და ასევე, ბოდიში მოუხადა იმ გარემოების გამო, რომ ობიექტური მიზეზების გათვალისწინებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი საბჭოს განახლებული შემადგენლობის პირველ სხდომას ვერ უხელმძღვანელებს.

ქეთევან ნატრიაშვილმა საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დამტკიცებულ იქნა საბჭოს მიერ.

თამარ სამხარაძემ წარმოადგინა პრეზენტაცია პროფესიული განათლების საშუალოვადიანი სტრატეგიის (2009-2012) განხორციელების, მიღწეული შედეგებისა და სამომავლო გამოწვევების შესახებ.

საშუალოვადიანი სტრატეგიის განხორციელების საკითხთან დაკავშირებით, **აზრი გამოთქვა ირაკლი პეტრიაშვილმა** და აღნიშნა, რომ მთელი ამ პერიოდის (2009-2012) მანძილზე, საბჭომ რეალურად ვერ უზრუნველყო თავისი ფუნქციის შესრულება და სტრატეგიის განხორციელების პროცესში მონაწილეობა, რადგან სამინისტროს ხელმძღვანელობა დაკავებული იყო მოჩვენებითი, პიარზე აგებული პოლიტიკით და არ ითვალისწინებდა სოციალური პარტნიორების მოსაზრებებს სფეროს განვითარების საკვანძო საკითხებთან დაკავშირებით. აღნიშნული მიდგომის გამო, საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება მთლიანად გამოეთიშა პროცესებს და მხოლოდ მას შემდეგ მიიღო გადაწყვეტილება საბჭოს სხდომებში მონაწილეობის, რაც ღიად გაცხადდა სამინისტროს კურსი სოციალურ პარტნიორებთან აქტიური თანამშრომლობის შესახებ.

ირაკლი პეტრიაშვილმა ასევე აღნიშნა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ამ დრომდე არ არის გათვალისწინებული პროფესიული გავშირების გაერთიანების წინადადებები და რეკომენდაციები:

- ეროვნული პროფესიული საბჭოს პარიტეტული პრინციპით დაკომპლექტების შესახებ;
- საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ, რომელი ცვლილებებითაც უზრუნველყოფილი უნდა იქნას სისტემაში ხელოვნური ბარიერების მოხსნა და უწყვეტი განათლების პრინციპის რეალურად დანერგვა;
- პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის პროცესში სოციალური პარტნიორებისა და კონკრეტულად, პროფესიული კავშირების ჩართვის შესახებ.

ქეთევან ნატრიაშვილმა სთხოვა ირაკლი პეტრიაშვილს წერილობით ჩამოეყალიბებინა და მოეწოდებინა საბჭოს პარიტეტული პრინციპით დაკომპლექტების ხედვა, რომელიც ეროვნული პროფესიული საბჭოს შემდეგი მოწვევის განხილვის შემდეგ, მიეწოდება მინისტრს და საქართველოს მთავრობას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად. შემოთავაზებულ საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებით ქეთევან ნატრიაშვილმა აღნიშნა, რომ ცალკეული საკანონმდებლო ცვლილებებით სისტემური პრობლემების მოგვარება ვერ ხერხდება და ამდენად, სამინისტრო ორიენტირებულია და მუშაობს პრობლემათა სისტემურ გადაწყვეტაზე. ამავე დროს, სამინისტრო არ გეგმავს გადაწყვეტილებების იზოლირებულად მიღებას, ამ პროცესში ჩართული იქნება ყველა დაინტერესებული მხარე და შესაბამისად, ყველა მხარე აიღებს პასუხისმგებლობას ამ გადაწყვეტილებებზე. ქეთევან ნატრიაშვილმა ასევე სთხოვა ირაკლი პეტრიაშვილს წერილობით ჩამოეყალიბებინა და მოეწოდებინა აღნიშნულ საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებული ხედვა, რომელიც ეროვნული პროფესიული საბჭოს შემდეგი მოწვევის განხილვის შემდეგ მიეწოდება მინისტრს.

აზრი გამოთქვა **დანიელ დავითაშვილმა** და კმაყოფილება გამოხატა იმ ფაქტის გამო, რომ პროფესიული განათლების განვითარება საქართველოს მთავრობამ პრიორიტეტად გამოაცხადა. ასევე, მისასალმებელია, სამინისტროს ღია და თანამშრომლობაზე დაფუძნებული ურთიერთობა სოციალურ პარტნიორებთან. ბოლო წლების განავლობაში სისტემა ჩაკეტილი იყო და მთელი რიგი გადაწყვეტილებები მიიღებოდა ფარულად, განხილვის გარეშე, რამაც შექმნა კრიზისი და დააზარალა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები. გაუაზრებლად და ნაჩქარევად შემუშავებულმა პროფესიულმა სტანდარტებმა ვერ უზრუნველყო პროფესიული განათლების მაღალი ხარისხი, კრიტიკას ვერ უძლებს არსებული საგანმანათლებლო პროგრამები. ბუნებრივია, ყველა ხარვეზის გასწორება უნდა დაიწყოს საკანონმდებლო ცვლილებებით და ეს ცვლილებები მხარდაჭერილი უნდა იყოს.

ეროვნული პროფესიული საბჭოს ფუნქციონირებისა და პროფესიული განათლების რეფორმის შესახებ კომენტარი გააკეთა **ალექსანდრე ქანთარიამ**, რომელმაც საქართველოს პარლამენტის განათლების კომიტეტის სახელით მხარდაჭერა გამოუცხადა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების საქმეში. ასევე, მზადყოფნა გამოთქვა ყველა პროცესში ჩართვისა და საბჭოს მუშაობაში აქტიური მონაწილეობის.

ნინო ყოჩიშვილმა საბჭოს წევრებს მიაწოდა ინფორმაცია პროფესიული განათლების სფეროში ევროკავშირის მიერ განხორციელებული და მიმდინარე პროექტების შესახებ.

ქეთევან ნატრიაშვილმა მადლობა გადაუხადა ევროკავშირის წარმომადგენლობას პროფესიული განათლების რეფორმის მხარდაჭერისთვის.

მიხეილ კორძახიამ შეკითხვა დასხვა, არსებობს თუ არა ინფორმაცია ევროკავშირის საბიუჯეტო დამხმარებიდან მიღებული თანხის ხარჯვის შესახებ, რაზეც ნინო ყოჩიშვილმა უპასუხა, რომ ევროკავშირი არ მეთვალყურეობს თანხის ხარჯვას, არამედ აფასებს და ზომავს შედეგებს, მთავრობა თავად განსაზღვრავს საბიუჯეტო დახმარების ხარჯვის მიმართულებებს. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ევროკავშირი არ ინტერესდება პროფესიული განათლების ბიუჯეტით, მისი ოდენობითა და სამოქმედო გეგმასთან შესაბამისობით.

ეკა ჟვანიამ წარმოადგინა პრეზენტაცია ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროექტისა და მისი კომპონენტების შესახებ. მიმოიხილა პროექტით გათვალისწინებული აქტივობები და მოსალოდნელი შედეგები.

აზრი გამოთქვა **შორენა ჯაფარიძემ** - ტექნიკური დახმარების პროექტის ფარგლებში დაგეგმილია პროფესიული კოლეჯების კურსდამთავრებულთა გამოკითხვის მეთოდოლოგიის შემუშავება. თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვანია იმ დამსაქმებელთა გამოკითხვა, სადაც ეს კურსდამთავრებულები საქმდებიან. გარდა ამისა, თვითშეფასება უნდა გაკეთდეს არა მხოლოდ დაწესებულებების, არამედ ზოგადად, სისტემის დონეზე. ასეთი მიდგომა მიღებულია ევროპულ ქვეყნებში. არსებობს შესაბამისი კითხვარები, რითაც შესაძლებელი იქნება შევადაროთ ჩვენი სისტემა ევროპულ სისტემებს.

ეკა ჟვანიამ აღნიშნა, რომ თვითშეფასების ინსტრუმენტის ცენტრალურ დონეზე გამოყენება მნიშვნელოვანი საკითხია, თუმცა პროექტის ფარგლებში, ყურადღება გამახვილებულია უშუალოდ საგანმანათლებლო დაწესებულებების თვითშეფასებაზე.

აზრი გამოთქვა **დენის დავითაშვილმა** და წამოაყენა წინადადება - 2014 წელი გამოცხადდეს პროფესიული განათლების წლად. საკითხის ინიცირება შეუძლია ეროვნულ პროფესიულ საბჭოს, ხოლო შემდეგ, მინისტრმა ამ ინიციატივით უნდა მიმართოს საქართველოს მთავრობასა და პარლამენტს.

ნილს კრისტენსენმა საბჭოს წევრებს მიაწოდა ინფორმაცია პროფესიული განათლების გრძელვადიანი სტრატეგიის (2013-2020) შემუშავების შესახებ.

აზრი გამოთქვა **ირაკლი პეტრიაშვილმა** - სტრატეგიაზე მუშაობის პარალელურად, მთავრობამ, ეროვნულმა პროფესიულმა საბჭომ, პარტნიორმა ორგანიზაციებმა, უნდა იფიქრონ სისტემის დაფინანსების საკითხებზე. სახელმწიფომ უნდა აიღოს პასუხისმგებლობა და სრულად დააფინანსოს პროფესიული განათლება. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტები არიან უაღრესად გაჭირვებული ოჯახებიდან. შესაძლებელია მათ არ ჰქონდეთ სოციალურად დაუცველის სტატუსი, მაგრამ რეალურად ვერ უზრუნველყოფენ სწავლის საფასურის გადახდას.

ქეთევან ნატრიაშვილმა საბჭოს წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ სამინისტრომ შეიმუშავა პროფესიული განათლების დაფინანსების ალტერნატიული მიდგომა, რომელიც ჯერ ჩანასახის სტადიაშია, მაგრამ რაკი საბჭოს წევრების მხრიდან ინტერესი არსებობს, დამატებით საკითხად იქნება წარმოდგენილი. ამასთანავე, მნიშვნელოვანია, რომ საბჭოს წევრებმა ერთმანეთს ინფორმაცია სხდომებს შორისაც გაუზიარონ, უფრო მოსახერხებელი იქნება ელექტრონული ფორმით ურთიერთობა, ასევე რიგგარეშე სხდომების მოწვევა კონკრეტულ სკითხებთან დაკავშირებით. მაგალითისთვის, ერთ-ერთი ასეთი შეხვედრა აუცილებლად უნდა დაეთმოს სტრატეგიის სამოქმედო გეგმის განხილვას.

კახა გვანცელაძემ დასხვა კითხვა, არის თუ არა სტრატეგიაში ხაზგასმული შრომის ბაზრის კვლევის საჭიროება? ასევე, **მიხეილ კორძახიამ** დასხვა შეკითხვები - არის თუ არა სტრატეგიაში დაკონკრეტებული ტრიპარტიზმის, სამმხრივი მონაწილეობის/თანამშრომლობის მოდელი? გადაიხედება თუ არა პოლიტიკა

კერძო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან მიმართებაში? თუ შენარჩუნდება დიკრიმინაციული მიდგომები?

აღნიშნული კითხვების პასუხად **ნილს კრისტენსენმა** აღნიშნა, რომ სტრატეგიაში გათვალისწინებული შრომის ბაზრის კვლევების წარმოებისა და ამ კვლევების შედეგებზე პროფესიული განათლების ორიენტაციის საკითხი. ამავე დროს, სტრატეგიის შემუშავებაში ჩართული ექსპერტები პროფესიულ განათლებას უყურებენ როგორც ერთიან სისტემას და არ ყოფენ მას სამართლებრივი ფორმების მიხედვით - კერძოა თუ სახელმწიფო. უნდა შემუშავდეს ერთიანი პლატფორმა, ერთიანი მიზნები და ამოცანები. რაც შეეხება ტრიპარტიზმს, სამმხრივი მონაწილეობა პროფესიული განათლების ფუძემდებლური პრინციპია და ბუნებრივია, ის სათანადოდ აისახება სტრატეგიაში.

ქეთევან ნატრიაშვილმა აღნიშნა, რომ არსებული კანონმდებლობა არ ზღუდავს ტრიპარტიზმის გამოყენებას. მთავარია არსებობდეს ნება, რომ ეს მიდგომა განხორციელდეს. ნების შესახებ ჩვენი მხრიდან უკვე არსებობს გაცხადებული პოზიცია. მზად ვართ შევხვდეთ და ვისაუბროთ კონკრეტულ იდეებზე. ამისთვის აუცილებელი არა არის მხოლოდ საბჭოს ფორმატი იქნას გამოყენებული. სამინისტრო ორგანიზებას გაუწევს შეხვედრას, რათა დავსხდეთ და განვიხილოთ კონკრეტული თანამშრომლობის მოდელი, რომელიც პარიტეტულ პრინციპზე იქნება დაფუძნებული.

ლაშა საღინაძემ წარმოადგინა პროფესიული განათლების დაფინანსების კუთხით არსებული ერთ-ერთი ალტერნატიული ხედვა. ამ ხედვის მიხედვით, სახელმწიფო ყოფს პროფესიულ განათლებისთვის საჭირო დანახარჯებს და ანაწილებს ვაუჩერული და საბაზო დაფინანსების კომპონენტებში. ხაზგასმით ითქვა, რომ შემოთავაზებული მოდელი წარმოდგენილია მხოლოდ განხილვის მიზნით და დაიხვეწება საბჭოს წევრების მიერ გამოთქმული მოსაზრებების შედეგად.

კითხვა დასვა **ელენე ცხაკაიამ** , თუ რა მეთოდოლოგიის საფუძველზე დაითვალა პროგრამის ფასები, და კიდევ, იმაზე, თუ რამდენი ფასისმიერი კატეგორიაა, რაზეც ლაშა საღინაძემ უპასუხა, რომ გამოყენებულ იქნა შესაბამისი ფორმულა და **პროფესიათა დაჯგუფება მოხდა რამდენიმე კატეგორიად.**

კითხვა დასვა მიხეილ კორძახიამ - რამდენად განიხილება სახელმწიფოს მიერ კერძო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების დაფინანსება? რაზეც **ლაშა საღინაძემ** უპასუხა, რომ ამის შესაძლებლობა არსებობს, მაგრამ სახელმწიფო დაფინანსების მექანიზმები ჯერ კიდევ დასახვეწია და დამუშავებას საჭიროებს და აღნიშნა, რომ შესაბამისი გადაწყვეტილება სამუშაო პროცესის დასრულების შემდეგომ იქნება მიღებული.

აზრი გამოთქვა **დენის დავითაშვილმა** და აღნიშნა, რომ მოცემულ ეტაპზე რეკომენდაციას უწევს პროფესიული განათლების პროგრამულ დაფინანსებას, რაც შეეხება კერძო საგანმანათლებლო კოლეჯების დაფინანსებას, ამ საკითხთან დაკავშირებით პარლამენტის განათლების კომიტეტი აუცილებლად უნდა ჩავაყენოთ საქმის ყურსში.

კახა გვანცელაძემ აღნიშნა, რომ პრიორიტული დარგებისა თუ პროგრამების ნუსხა აუცილებლად ბაზრის კვლევაზე უნდა იყოს დაფუძნებული, **რაზეც ქეთევან ნატრიაშვილმა** უპასუხა, რომ ბაზრის კვლევის შედეგები სავარაუდოდ 2014 წლის ბოლომდე არ იგეგმება, მაგრამ სახელმწიფოს მიერ გაცხადებული პრიორიტეტები უკვე არსებობს და შესაძლებელია ამ პრიორიტეტებითაც ვიხელმძღვანელოთ.

აზრი გამოთქვა **მიხეილ კორძახიამ** და აღნიშნა, რომ შრომის ბაზრის კვლევას დასჭირდება 3-4- თვე და შესაბამისი რესურსი, რომელიც უნდა გაიღოს სახელმწიფომ.

აზრი გამოთქვა **ქეთევან ნატრიაშვილმა** - სახელმწიფო პრიორიტეტები ჩამოყალიბებულია, გარდა ამისა, რამდენდაც ცნობილია, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ უკვე დაიწყო მუშაობა შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგიაზე. შესაბამისად უახლოეს მომავალში გვეცოდინება თუ როგორი იქნება სახელმწიფო მიდგომა შრომის ბარზრის კვლევასთან დაკავშირებით. 3-4- თვეში ჩატარებულ კვლევებს ვერ დავეყრდნობით. ასეთი ფრაგმენტული და წერტილოვანი კვლევები ბევრი განხორციელდა, მაგრამ არ გვაძლევს სისტემურ სურათს. მეორეს მხრივ, ვიცით, რომ სახელმწიფომ სოფლის მეურნეობის დარგი პრიორიტეტად გამოაცხადა სოფლის მეურნეობაშია დასაქმებული ქვეყნის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი (თვითდასაქმების გზით). სახელმწიფომ უნდა იზრუნოს ამ ადამიანების ხელშეწყობაზე, ახალი ცოდნით აღჭურვაზე და ამ ხელშეწყობის გზით მათი შემოსავლების ზრდაზე. აზრი გამოთქვა **ელგუჯა მელაძემ** და დასვა კითხვა, თუ სახელმწიფოს მიერ პრიორიტეტები უკვე განსაზღვრულია, ეს იმას ნიშნავს, რომ ისევ გრძელდება გადაწყვეტილებების ცალმხრივად მიღების პროცესი, რა საჭიროა ეს დისკუსიები? აღნიშნულ კითხვაზე **ქეთევან ნატრიაშვილმა** უპასუხა, რომ პროფესიული განათლების კუთხით პრიორიტეტების განსაზღვრისას უნდა ვიხელმძღვანელოთ სახელმწიფოს მიერ გაცხადებული პრიორიტეტული მიმართულებებითა და დარგებით. შეუძლებელია ამ პრიორიტეტების იგნორირება. ამავე დროს ეს არ ნიშნავს ცალმხრივობას, სამინისტრო მზად არის მოისმინოს დაინტერესებული მხარეების რეკომენდაციები და ხედვები და განიხილოს შეთავაზებები მათთან ერთად.

ქეთევან ნატრიაშვილმა საბჭოს წევრებს შესთავაზა შრომის ბაზრის კვლევის საკითხის სამუშაო ჯგუფის ფორმატში განხილვა. ამისათვის, ქეთევან ნატრიაშვილმა სთხოვა დამსაქმებელთა ასოციაციას, მოამზადოს მოკლე კითხვარი და ასოციაციის წევრებისაგან მიიღოს დოკუმენტირებული მოთხოვნა კვალიფიციურ კადრებთან დაკავშირებით. გარდა ამისა, ახალი წერტილოვანი და ფრაგმენტული კვლევების ინიცირებამდე, უმჯობესია განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ გაუზიაროს სოციალური პარტნიორებს არსებული კვლევები, რომლებიც ასევე ფრაგმენტულად, მაგრამ მაინც ასახავს შრომის ბაზრის არსებულ მდგომარეობას და მოთხოვნებს. ამის შემდგომ შესაძლებელი იქნება დისკუსიების გაგრძელება.

ქეთევან ნატრიაშვილის შეთავაზებაზე დამსაქმებელთა ასოციაციამ განცხადა, რომ ვერ ხედავს სერიოზულ საფუძველს იმისას, თუ აღნიშნული რაიმე სარგებლის მომტანი იქნება მთლიანად სისტემისთვის, ასევე დაამატა, რომ ვერანაირად ვერ მივიღებთ სასურველ შედეგს და იგი მაინც ლოკალური ხასიათის იქნება შემდეგი გარემომების გამო: შრომის ბაზრის კვლევა არის უძირითადესი საკითხი და პირველწყარო მთლიანად სისტემის გამართული მუშაობისთვის, შესაბამისად სრულყოფილი შრომის ბაზრის კველვის წარმოება მოითხოვს სერიოზულ ფინანსურ და ადამიანურ რესურს, ასევე დიდ გამოცდილებას და კვლევის სპეციფიკურ ცოდნას.

ელენე ცხაკაიამ წარმოადგინა პრეზენტაცია პროფესიული განათლების მონიტორინგის სისტემის არსისა და მიზნების შესახებ და საბჭოს წევრებს მიაწოდა ინფორმაცია ერთიანი საინფორმაციო ბაზისა და მასში განთავსებული მონაცემების შესახებ.

დავით ლომიძემ დასვა კითხვა, რამდენად შესაძლებელია, ბაზაზე წვდომა ჰქონდეს ჯანდაცვის სამინისტროს, რაზეც ელენე ცხაკაიამ უპასუხა, რომ აღნიშნული საკითხი უნდა შეთანხმდეს პროგრამისტებთან. ამ ბაზას პირდაპირი გაცვლა აქვს საჯარო რეესტრის ბაზასთან და ალბათ არ იქნება პრობლემა მისი ჯანდაცვის სამინისტროს ბაზასთან დაკავშირების.

აზრი გამოთქვა **ქეთევან ნატრიაშვილმა** - სამინისტრომ უკვე დაიწყო ბაზაში განთავსებული მონაცემების გამოყენება, ამ პროცესში იკვეთება მთელი რიგი ხარვეზები. ამდენად, ბაზა მუდმივად განახლების

ფაზაში იქნება. საჭიროა დიალოგის დაწყება ჯანდაცვის სამინისტროსთან მათ სოციალურად დაუცველთა ბაზასა და "ემისის" განათლების სისტემის მონაცემთა ბაზას შორის ინფორმაციის ავტომატურად ცვლის საჭიროებაზე.

კითხვა დასხვა **თეა კვინტრაძემ** - რამდენად მიზანშეწონილია ერთიან საინფორმაციო ბაზაში, კერძოდ მასწავლებლებთან დაკავშირებულ კლასტრებში აისახოს ჩატარებული ტრენინგები, ასევე სამომავლო ტრენინგ-გეგმები და რამდენად შესაძლებელია, რომ ბაზაზე წვდომა ჰქონდეს მასწავლებელთა სახლსაც. რაზეც **ქეთევან ნატრიაშვილმა** უპასუხა, რომ სავსებით შესაძლებელია ამ საკითხების დარეგულირება.

ბაზის საჯაროობასთან დაკავშირებით კითხვა დასვა **მიხეილ კორძახიამ**, რაზეც **ელენე ცხაკაიამ** უპასუხა, რომ ბაზა არის დახურული, (მაგალითისათვის, კერძო კოლეჯები ფრთხილობენ ბაზაში ფინანსებთან დაკავშირებული ინფორმაციის განთავსებაზე) თუმცა გარკვეული ინფორმაციის გასაჯაროება შესაძლებელია და ამ საკითხზე საჭიროა განათლების სამინისტროსა და ემისთან მუშაობა.

კითხვა დასვა **ნინო ყოჩიშვილმა** - თუ სახელმწიფო დაფინანსება გავრცელდება კერძო კოლეჯებზეც, ამ შემთხვევაშიც არ იქნება სავალდებულო ბაზაში ჩართვა? ხომ არ უნდა ჩაიდოს ეს საკითხი ავტორიზაციის პირობებში?

ქეთევან ნატრიაშვილი - ეს მიდგომა განხილვის პროცესშია, მაგრამ ამჟამად არის პილოტირების პროცესი. ნდობის მოპოვებასთან ერთად, კოლეჯების მხრიდან წამოვა მეტი ინტერესი და მზაობა ამა თუ იმ ინფორმაციის ერთიან ბაზაში განთავსების შესახებ. პარალელურად მიმდინარეობს მუშაობა ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან, რათა დადგინეს შესაძლებელია თუ არა რომ ბაზის შევსება სავალდებულო გახდეს იმ დაწესებულებებისთვის, რომელთაც მიენიჭებათ ავტორიზაცია.

საბჭოს წევრების მხრიდან მოწონებულ იქნა პროფესიული განათლების მონიტორინგის წარმოდგენილი ბაზა და მისი ფუნქციონერების წესები.

მარიკა ზაქარეიშვილმა მოხსენება გააკეთა იმ ინიციატივის შესახებ, რომლის განხორციელებაც იგეგმება ნორვეგიის მხარის ხელშეწყობით პროფესიული განათლების სფეროში და ითვალისწინებს ინკლუზიური განათლების დანერგვას.

დანიელ დავითაშვილმა დასვა კითხვა, თუ რა პერიოდის განმავლობაში დაეხმარება ნორვეგია ამ პროექტს, რაზეც მომხსენებლმა უპასუხა, რომ პროექტის ხანგრძლივობაა 3 წელი და 10 თვე. ხოლო შემდეგ, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს სისტემის მდგრადობა. პროფესიული ინკლუზიური განათლების სტრატეგია უკვე არსებობს და მას შემდეგ, რაც ევროკავშირის ტექნიკური დახმარების ფარგლებში ჩამოვა საერთაშორისო ექსპერტი, მოხდება ამ სტრატეგიის პროფესიული განათლების გრძელვადიანი სტრატეგიის დოკუმენტში ინტეგრაცია.

ქეთევან ნატრიაშვილმა **საბჭოს** **წევრებს** ინფორმაცია მიაწოდა ახალი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების დაფუძნების საჭიროების, მიზანშეწონილობისა და განხორციელების საკითხების შემსწავლელი კომისიის მუშაობის შესახებ. კომისიამ უნდა შეისწავლოს საქართველოს რეგიონებში არსებული მდგომარეობა პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის კუთხით, მოამზადოს შესაბამისი დასკვნები და რეკომენდაციები, რომელსაც წარუდგენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს შესაბამისი გადაწყვეტილებების მისაღებად.

ანა მჭედლიშვილმა **წარმოადგინა** ინფორმაცია ეროვნული პროფესიული საბჭოს თემატური ჯგუფების საქმიანობისა და მიღწეული შედეგების შესახებ.

აზრი გამოთქვა **დანიელ დავითაშვილმა** და ხაზი გაუსვა დამატებითი თემატური ჯგუფების ჩამოყალიბების საკითხს კანონმდებლობის დახვეწის, კერძო პროფესიული კოლეჯების პრობლემების შესწავლის, პროფესიული განათლების კადრების მომზადება-გადამზადების მიმართულებებით.

ქეთევან ნატრიაშვილმა მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრებს პროფესიული განათლების მიმართ ასეთი ინტერესისთვის და იმედი გამოთქვა, რომ შემდეგი სხდომები მეტად სამუშაო ვითარებაში წარიმართება.

მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ სამინისტრო შექმნის სპეციალურ ელექტრონულ ფოსტას, რომელზეც მხოლოდ ეროვნული პროფესიული საბჭოს წევრთა მიმოწერა დაფიქსირდება.

სხდომაზე განხილული საკითხების შეჯამების შემდგომ საბჭოს წევრები შეთანხმდნენ, რომ სოციალური პარტნიორები:

1. მოამზადებენ მიდგომებს და კონკრეტულ წინადადებებს ეროვნული პროფესიული საბჭოს პარიტეტული დაკომპლექტების თაობაზე და მიაწოდებენ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტს აღნიშნული სპეციალური ელექტრონული ფოსტის მეშვეობით;
2. მოამზადებენ კონკრეტულ საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებულ შეთავაზებებს საგანმანათლებლო ჩიხსა და სხვა პრობლემურ საკითხებთან მიმართებაში და მიაწოდებენ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტს აღნიშნული სპეციალური ელექტრონული ფოსტის მეშვეობით;
3. გაეცნობიან განათლების და მეცნიერების სამინისტროს მიერ მოძიებულ, შრომის ბაზრის ანალიზის მიზნით სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ ჩატარებულ კვლევებს და ჩამოყალიბებულ ხედვებს/ანალიზს მიაწოდებენ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტს აღნიშნული სპეციალური ელექტრონული ფოსტის მეშვეობით;
4. შეიმუშავებენ კონკრეტულ მოსაზრებებს პროფესიული განათლების ეროვნული პროფესიული საბჭოს თემატური ჯგუფების განახლების თაობაზე და მიაწოდებენ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტს აღნიშნული სპეციალური ელექტრონული ფოსტის მეშვეობით;

აღნიშნული სამუშაოების შესრულების შემდგომ, სამინისტროს ორგანიზებით გაიმართება სამმხრივი სამუშაო შეხვედრა, რომელზეც განხილული იქნება:

1. ეროვნული პროფესიული საბჭოს პარიტეტული პრინციპით დაკომპლექტების საკითხი;
2. საგანმანათლებლო ჩიხსა და სხვა პრობლემურ საკითხებთან დაკავშირებული შემოთავაზებული საკანონმდებლო ცვლილებები;
3. შრომის ბაზრის კვლევის საჭიროებების განხილვა;
4. პროფესიულ განათლებაში პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრის საკითხი;
5. პროფესიული განათლების ეროვნული პროფესიული საბჭოს თემატური ჯგუფების განახლება.

სხდომის თავმჯდომარე: _____ (ქეთევან ნატრიაშვილი)

სხდომის მდივანი: _____ (თამარ სამხარაძე)